კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	**სადოქტორო პროგრამა „ფარმაცია“** ***PhD program PHARMACY***
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	ფარმაციის დოქტორი *PhD in Pharmacy*
ფაკულტეტის დასახელება	მედიცინის ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/კოორდინატორი	ნინო აბულაძე - ფარმაციის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	არანაკლები 3 წელი. სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები	ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება #18(19/20). 01.10.2019 აკადემიური საბჭოს დადგენილება #20 (19/20). 01.11.2019 აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №862046. 04.09.2020

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფარმაციაში,
- საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში,
- ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან შესაბამისი გამოცდის ჩაბარება.

პროგრამის მიზნები

სადოქტორო პროგრამა „ფარმაცია“ მიზნად ისახავს:

- მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ფარმაცევტ-მკვლევარის მომზადებას, რომელსაც შესაბამისად ექნება ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და შესაბამისი კომპეტენციები ფარმაციის დარგის ისეთ ქვემიმართულებებში როგორიცაა ფარმაცევტული ტექნოლოგია, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ანალიზი, ფარმაკოგნოზია, სოციალური და კლინიკური ფარმაცია;
- ცოდნისა და კვლევის შედეგების ეფექტური და გასაგები ფორმით პრეზენტაციის უნარის განვითარებას.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)

ცოდნა და გაცნობიერება	**პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:** - ფარმაცევტულ დარგში თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე პროცესების შესაბამისი უახლეს მიღწევებზე დამყარებული, ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირება, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში; - ფარმაციასთან ასოცირებული მეცნიერული კვლევისა და სწავლის თანამედროვე სპეციფიკური მეთოდების გამოყენება; სწავლის/საქმიანობის სფეროს სისტემურად და კრიტიკულად გაანალიზება, ცოდნის განახლებული ფარგლების აღწერა, საკუთარი ცოდნის არეალის გაფართოება და ახალ გამოწვევებსა და ტენდენციებთან

	მათ მისადაგება.
უნარი	**პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:** - აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ფარმაცევტული ინოვაციური კვლევების, ექსპერიმენტების დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება; ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული მიდგომების შემუშავება; - კვლევასა და ინოვაციაში კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; - ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში გარკვევით, დასაბუთებულად წარმოჩენა, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობა, პუბლიკაციების მომზადება დარგის მაღალრეიტინგული ჟურნალებისათვის.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:** – კვლევითი პროექტების და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების ლიდერობა და ამავე დროს გუნდის სრულფასოვანი წევრობა, სამეცნიერო საზოგადოების ყველა ფუნდამენტური პრინციპის აღიარება; პროფესიული ეთიკისა და ბიოეთიკის ნორმების, სხვათა კვლევის შედეგების შეფასება და საკუთრის დაცვა; – როგორც მეცნიერ-მკვლევარი და პედაგოგი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში განათლების მნიშვნელობის ახსნა და საკუთარი როლის ნათლად დანახვა აღნიშნულ პროცესში; სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამა აგებულია ინტერაქტიული სწავლების პრინციპებზე და სასწავლო კურსის შინაარსის მიხედვით იყენებს სწავლების სტუდენტზე ორიენტირებულ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა:

1. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
2. დემონსტრირების მეთოდი;
3. ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
4. წიგნზე მუშაობის მეთოდი;
5. წერითი მუშაობის მეთოდი;
6. პრაქტიკული მეთოდი აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს და სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას (მაგ. პედაგოგიური პრაქტიკა და სხვა);
7. ლაბორატორიული მეთოდი;
8. გონებრივი იერიში;
9. დისკუსია-დებატები;
10. ინდუქცია და დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
11. აკვარიუმი;
12. ვენის დიაგრამა და სხვ.

პროგრამა იყენებს სწავლების შემდეგ ფორმებს:

ინტერაქტიური ლექცია, მინი ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი, ინდივიდუალური კონსულტაციები, დამოუკიდებელი მუშაობა; სასწავლო კურსების შესწავლა ხორციელდება როგორც ლექციებზე, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით (რეკომენდებული ძირითადი სახელმძღვანელოების, დამატებითი ლიტერატურის დამუშავების, აგრეთვე ინტერნეტ-რესურსების გამოყენების საფუძველზე).

<u>ლექციების</u> დანიშნულებაა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად თემათა ისტორიულ-

თეორიულ ჭრილში განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციით. სალექციო კურსები ორიენტირებულია დარგის თეორიული კვლევისა და და აღნიშნულ სფეროში დაგროვილი ძირითადი ფაქტების შესწავლაზე. ლექციებზე ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთასა და მათ ანალიზზე.

<u>პრაქტიკული</u> <u>და სემინარული</u> მუშაობების დანიშნულებაა - სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება. შეძენილი ცოდნის განმტკიცებას და პროფესიული საქმიანობისა-თვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო თემატიკით გათვალისწინებული სხვადასხვა პრაქტიკული თუ პრობლემატური სიტუაციების ანალიზი, შესაბამისი თემატიკით შერჩეული სავარჯიშოების (მაგალითების) დაწვრილებითი განხილვა. სასემინარო მოხსენების მომზადება-პრეზენტაცია, პრაქტიკული სავარჯიშოებისა თუ მიზნობრივი წერითი დავალების შესრულებას და ა.შ.

ინტერაქტიური სწავლების ყველაზე გავრცელებული ფორმაა: <u>დისკუსია/დებატები</u>. დისკუსია მკვეთრად ამაღლებს სასწავლო პროცესში სტუდენტის ჩართულობისა და აქტივობის ხარისხს, უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. <u>დისკუსიების</u> დანიშნულებაა ლექციებზე შეძენილი ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკულ უნარ-ჩვევათა განმტკიცება, დისკუსია-დიალოგის გამართვა ნაცნობი თემატიკის ირგვლივ, ტექსტში მოცემულ პრობლემებზე მსჯელობა.

სადოქტორო სემინარი პროგრამის სასწავლო კომპონენტია. იგი ითვალისწინებს განსახილველი პრობლემური საკითხის საფუძვლიანად დამუშავებასა და მოხსენების მომზადებას; მოხსენებისათვის პროგრამის ფარგლებში შეირჩევა პრობლემატური საკითხები, რომელთა დამუშავება საჭიროებს მითითებული ლიტერატურისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გაცნობა-ანალიზსა და საკითხისადმი საკუთარი პოზიციის გამოკვეთას. სემინარული მუშაობისას უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად მართებულად აღიქვამს სტუდენტი შერჩეულ პრობლემატიკას და დამოუკიდებლად მომზადებულ მასალას. სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ შესაბამისი თემის ხელმძღვანელი, სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები. სტუდენტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სხვა პირობები დგინდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

კოლოქვიუმი არის პროგრამის კვლევითი კომპონენტი; სტუდენტი არის კვლევის უშუალო შემსრულებელი. კოლოქვიუმების ჩატარების დროს ხდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის ერთგვარი მონიტორინგი. კოლოქვიუმზე წარსადგენი ნაშრომი არის დისერტაციის ნაწილი. სტუდენტი პროგრამის ხელმძღვანელს (სადისერტაციო თემის ხელმძღვანელს) წარუდგენს კოლოქვიუმზე გამოსატანი ნაშრომის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს. შესაძლებელია ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეგზავნოს შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს/პირებს ან დარგის აღიარებულ სპეციალისტებს.

პრაქტიკა. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულია პედაგოგიური პრაქტიკის გავლა პედაგოგიკის ფაკულტეტის წარმომადგენლის, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და და/ან დარგის აღიარებული სპეციალისტის უშუალო მონაწილეობით. აღნიშნულის მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სტუდენტის, როგორც მომავალი პედაგოგის, ჩამოყალიბებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას.

პროგრამის სტრუქტურა

არანაკლებ 3 წელი.

სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი, რომელიც შემდეგი სახით ნაწილდება:

ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 50 კრედიტი:

ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 10

იხ. დანართი 1- სასწავლო გეგმა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

- **სასწავლო კომპონენტი**

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007

წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებებით განსაზღვრული პუნქტების, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით №5(17/18) – „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრული პუნქტების გათვალისწინებით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში *(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტს)* **- არა უმეტეს 30 ქულა;**

შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა;

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს **არანაკლებ 18 ქულას.**

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) **(B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) **(C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) **(E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის **შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული **შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 20 ქულით**
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება ცალკეულ დისციპლინათა სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის № 76 (10/11) დადგენილებით განსაზღვრული პედაგოგიური პრაქტიკის უწყისის ფორმის მიხედვით.

სემინარების შეფასება ხდება უნივერსიტეტში მიღებული სპეციალური შუალედური და სემინარის პრეზენტაციის უწყისით.

კვლევითიკომპონენტის შეფასება

კოლოქვიუმების შეფასება ხდება ერთჯერადად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე–4 მუხლის მე–17 პუნქტით განსაზღვრული მეთოდიკით. კოლოქვიუმის შეფასების დროს დგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ მიღწეული წარმატებები. შეფასების დროს ყურადღება მახვილდება წარმოდგენილი მოხსენების შესრულების დონეზე, ნაშრომის პრეზენტაციისა და დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ხარისხზე და ა.შ. კოლოქვიუმის ერთჯერადი შეფასება აისახება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული უწყისის მიხედვით.

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე–4 მუხლის მე–17 პუნქტით, აწსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის #17 (09/10) დადგენილებით „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის დადგენილებაში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შესახებ “.

კვლევითი კომპონენტისათვის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმატებულად დაცვის შედეგად.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 785 2009 წლის 21 სექტემბერი სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო კომისიის წინაშე საჯარო დისკუსიაზე გატანის წინაპირობებია შემდეგი:

1. სადოქტორო პროგრამით სასწავლო კომპონენტისათვის გათვალისწინებული 60 კრედიტის ათვისების დამადასტურებელი კრებსითი უწყისის წარდგენა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში. კრებსით უწყისს გასცემს დოქტორანტურის განყოფილება და ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი და დოქტორანტურის განყოფილების უფროსი;
2. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული არანაკლებ სამი კოლოქვიუმის შესრულების ოქმის წარდგენა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში. კოლოქვიუმების შესრულება დასტურდება დოქტორანტურის განყოფილების მიერ გაცემული ცნობით არანაკლებ სამი კოლოქვიუმის შესრულების შესახებ და ამ კოლოქვიუმების შეფასება, ცნობას ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი და დოქტორანტურის განყოფილების უფროსი. კოლოქვიუმების შეფასების მეთოდიკა განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე–4 მუხლის მე–17 პუნქტით. კოლოქვიუმის შეფასება ითვლება დადებითად თუ იგი მიიღებს ამ მუხლით გათვალისწინებულ ა),ბ),გ),დ) და ე) შეფასხებებს, ვ) შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს იგივე კოლოქვიუმი შესწორებული სახით ჩააბაროს მომდევნო სემესტრში, ხოლო ზ) შეფასების შემთხვევაში

დოქტორანტმა თავიდან უნდა გაიაროს კოლოქვიუმის შესრულების პროცედურა;

3. ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ განსაზღვრული პუბლიკაციების რაოდენობა, ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ დამტკიცებულ გამოცემებში, რომლებიც დასტურდება სტატიის წარდგინებით; დისერტანტმა შეიძლება წარმოადგინოს მონოგრაფიაც. მონოგრაფიაა სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული პრობლემატიკის აღწერის, მათი გადაწყვეტის გზებისა და მეთოდების, მიღწეული კვლევითი შედეგების გამოცემა ბეჭდვითი სახით. ISBN, ISSN, არანაკლებ 100 ეგზემპლარი. ცნობა სტამბიდან, გადახდის ქვითარი;
4. ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ განსაზღვრული რაოდენობის კონფერენციებში მონაწილეობა და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მოხსენების წარდგენა, რისი შესრულებაც დასტურდება შესაბამისი ნაშრომის გამოქვეყნებით კონფერენციის შრომების კრებულში და მისი წარმოდგენით;
5. ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ განსაზღვრული რაოდენობის სტატიების ანონიმი ექსპერტის მიერ შეფასება;
6. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის განხილვა დეპარტამენტის სპეციალურ სხდომაზე;
7. ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ ოფიციალური ექსპერტების გამოყოფა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს; ოფიციალური ექსპერტების რაოდენობა და მათი შრომის შინაარსი განისაზღვრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით მუხლი 19;
8. ოფიციალური ექსპერტების დადებითი შეფასების შემთხვევაში ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ 2 ან 3 შემფასებლის (რეცენზენტის) გამოყოფა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს; თუ ვინ შეიძლება იყოს ოფიციალური შემფასებელი (რეცენზენტი) და ოფიციალური შემფასებელის (რეცენზენტის) შრომის შინაარსი განისაზღვრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის 62 (17/18) დადგენილებით „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“. და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №40(14/15) დადგენილებით; თუ შემფასებელთა ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება; ორი შემფასებლიდან ერთის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს მესამე შემფასებელს;
9. ოფიციალური შემფასებლების (რეცენზენტების) დადებითი შეფასების შემთხვევაში დისერტანტს უფლება ეძლევა დისერტაციო გაიტანოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ გამოყოფილი სადისერტაციო კომისიის წინაშე საჯარო განხილვისათვის, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ გამოყოფილი სადისერტაციო კომისია დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს; სასდისერტაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტს 62 (17/18) დადგენილებით „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის # 17 (09/10) დადგენილებით**,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 7 მაისის №61 (14/15), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის # 17 (09/10) დადგენილებით;
10. სადისერტაციო კომისიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების წესი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე–4 მუხლის მე–17 პუნქტით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის # 17 (09/10) დადგენილებით;
11. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის დაწყებამდე სადისერტაციო ნაშრომმა უნდა გაიაროს შემოწმება პლაგიატზე არაუმეტეს სამჯერ. ჩაითვალოს, რომ სადისერტაციო ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს, თუ პლაგიატის დონე სადისერტაციო ნაშრომში არ აღემატება 15% - ს. ცნობა სადისერტაციო ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ, პლაგიატის შესამოწმებელ პროგრამაზე დისერტაციის გატარების შემდეგ, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარედგინება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით. (აწსუ აკად. საბჭოს 2019 წ. 31 მაისის N 48 (18/19) დადგენილება).

12.სადისერტაციო ნაშრომის წარმატებულად დაცვის შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს პროექტს დისერტანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კომპონენტის კრედიტის აღიარება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

დასაქმების სფეროები

ფარმაციის დოქტორი დასაქმდება:

- უმაღლესი განათლების სისტემაში;
- სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში;
- მიღებული კომპეტენციებიდან გამომდინარე, შესაბამისი პროფილის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- ფარმაცევტულ დაწესებულებებში - სააფთიაქო ქსელებში, ფარმაცევტულ კომპანიებში, ფარმაცევტულ საწარმოებში, წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში, საბითუმო ბაზებში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს სხვადასხვა მიმართულების აკადემიური პერსონალი:
აფილირებული პროფესორი - 3;
ფარმაციის დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 4;
ფარმაციის დოქტორი, მოწვეული პროფესორი -3;
ფარმაციის დოქტორი, მოწვეული ასოცირებული პროფესორი - 1.

სტუდენტი უზრუნველყოფილია სწავლებისა და კვლევებისათვის აუცილებელი პირობებით. დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ინტელექტუალური გარემო და ინფრასტრუქტურა (კომპ. ტექნიკა, მატერიალური და საინფორმაციო რესურსები, მართვის ელექტრონული სისტემა, ბიბლიოთეკა), ფარმაცევტული ინფორმაციის მოძიებისათვის გამოყენებული იქნება: Clarivate Analytics (Web of Science), EBSCO host, Science Direct, SCOPUS, BioOne, The New England Journal of Medicine, DOAJ ელექტრონული ბაზები.

ლაბორატორიები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის XI კორპუსში ფარმაციის ლაბორატორიებში (ფარმაცევტული ტექნოლოგიის, ფარმაცევტული ქიმიის, ფარმაკოგნოზიის) განთავსებულია სხვადასხვა აღჭურვილობა/ლაბორატორიული ტექნიკა და აპარატურა:

აღჭურვილობა/ლაბორატორიული ტექნიკა:

- მაგნიტური სარეველა
- რეფრაქტომეტრები
- წყლის აბაზანები
- ქიმიური და ფარმაცევტული ჭურჭელი
- სააფთიაქო ტორსული/მორის და ხელის სასწორები
- როდინები
- ინფუნდირი
- შტანგლასები სამკურნალო ნივთიერებებისათვის
- სპირტომეტრი
- პიკნომეტრი
- არეომეტრები
- ლაბორატორიული ელექტროქურები

აპარატურა

- სპექტროფოტომეტრი
- გამწოვი კარადა

- ციფრული ანალიზური სასწორი
- ვისკოზიმეტრი (რეოტესტი)
- ცენტრიფუგა
- როტაციული ვაკუუმ ტუმბო
- ვაკუუმ ტუმბო
- სოქსლეტის აპარატი
- მიკროსკოპი
- pH მეტრი

გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ სხვადასხვა ინსტიტუციებთან, კვლევით ცენტრებთან, ფარმაცევტულ და სხვა დაწესებულებებთან, რომლებიც თანამშრომლობენ აწსუ-თან და მზადყოფნაში არიან ითანამშრომლონ სადოქტორო პროგრამის „ფარმაცია“ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულების პროცესში.

სასწავლო გეგმა 2020-2023 წწ.
პროგრამის დასახელება: სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაციის დოქტორი

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი						დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნითი გამოცდები									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
I	სასწავლო კომპონენტი													
1.	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (50 კრედიტი)													
1.1	მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები ფარმაციაში	5	125	30	3	92	15/15/0/0	5						
1.2	პედაგოგიური პრაქტიკა	5	125	30	3	92	15/15/0/0		5					1.4
1.3	ფარმაცევტული ექსპერიმენტის მათემატიკური უზრუნველყოფა	5	125	30	3	92	15/15/0/0		5					

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი						დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნითი გამოცდები									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1.4	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	5	125	30	3	92	15/15/0/0	5						
1.5.	თანამედროვე ფარმაცევტული ტექნოლოგიები	5	125	30	3	92	15/15/0/0	5						
1.6	სამკურნალო სუბსტანციების ქიმიურ-ფარმაცევტული, ფარმაკოგნოსტური და ტოქსიკოლოგიური ანალიზი	5	125	30	3	92	15/11/4/0	5						
1.7	სოციალური და კლინიკური ფარმაცია	5	125	30	3	92	15/15/0/0	5						
1.8	I სემინარი	5	125	30	3	92	15/15/0/0	5						
1.9	II სემინარი	5	125	30	3	92	15/15/0/0		5					
1.10	III სემინარი	5	125	30	3	92	15/15/0/0			5				
2	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (ირჩევს 10 კრედიტს)													
2.1	ფარმაცევტული წარმოების პროცესები და აპარატები	5	125	30	3	92	15/15/0/0		5					2.1.1
2.2	სამკურნალო მცენარეები და მათი ანალიზის მეთოდები	5	125	30	3	92	15/8/6/1		5					2.1.2
2.3	ფარმაცევტული ანალიზი	5	125	30	3	92	15/3/10/2		5					2.1.2
2.4	ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზი	5	125	30	3	92	15/11/4/0		5					2.1.2

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი						დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნითი გამოცდები									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
2.5	ბიოფარმაცია ფარმაკოკინეტიკის საფუძვლებით	5	125	30	3	92	15/15/0/0		5					2.1.1
2.6	ფარმაცევტული და სამედიცინო კოსმეტოლოგია	5	125	30	3	92	15/15/0/0		5					2.1.1
2.7	ფარმაცევტული პროდუქციის მიმოქცევა: ორგანიზაცია-რეგულირება, სტანდარტიზაცია და ფარმაკოეკონომიკა	5	125	30	3	92	15/15/0/0		5					2.1.3
2.8	ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაკოლოგია	5	125	30	3	92	15/15/0/0		5					2.1.3
	სულ	60	1500											